28.01.14.

პრესკონფერენცია - ადამიანის უფლებათა ცენტრი წამების მსხვერპლი პატიმრების საქმეების გამოძიებას მოითხოვს

29 იანვარს, 12:30 საათზე, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება პრესკონფერენცია წამების მსხვერპლი ყოფილი პატიმრების ვახტანგ მაისაიასა და ზაზა აზარიაშვილის საქმეებთან დაკავშირებით. მაისაიას და აზარიაშვილს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი თამარ ავალიანი იცავს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის პროექტის ფარგლებში.

ზაზა აზარიაშვილს, რომელიც სამი ტომარა ცემენტის ყაჩაღური გზით მოპოვებისთვის იყო გასამართლებული, აღენიშნებოდა მძიმე დაავადებები, რის გამოც, საპატიმროში დარჩენის შემთხვევაში, მის სიცოცხლეს მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრებოდა. იგი პატიმრობიდან ივლისის თვეში ადამიანის უფლებათა ცენტრის ძალისხმევით გათავისუფლდა. ზაზა აზარიაშვილის წამების მიზეზი გახდა საპატიმროში უკანონო დავალების შესრულებაზე უარის თქმა, როცა მას პოლიტპატიმარ ვახტანგ მაისაიას ფიზიკური ლიკვიდაცია დაავალეს.

თავის მხრივ, ყოფილი პოლიტპატიმარი ვახტანგ მაისაიას მიმართაც საგამოძიებო ორგანოებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მაღალჩინოსნების მიერ ხორციელდებოდა წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა.

რამდენიმე თვის წინ ვახტანგ მაისაიამ და ზაზა აზარიაშვილმა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით, ოფიციალურად მიმართეს მთავარ პროკურატურას და მოითხოვეს, გამოიძიოს მათ მიმართ განხორციელებული წამების ფაქტები.

სამწუხაროდ, საქართველოში საგამოძიებო ორგანოები სათანადოდ ვერ ასრულებენ ამ ვალდებულებას. მთავარი პროკურატურა წამების მსხვერპლ პატიმართა და ყოფილ პატიმართა საჩივრებს ან საერთოდ არ იხილავს ან აჭიანურებს ამ განცხადებებში ასახული ფაქტების დადგენას და დამნაშავეთა გამოვლენას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მთავარ პროკურატურას მოუწოდებს, დროულად მოახდინოს რეაგირება წამების მსხვერპლი პატიმრების განცხადებებზე, სცნოს ისინი დაზარალებულებად და ჩაატაროს ეფექტური გამოძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საქმეებზე ეფექტური რეაგირების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართავს.

პროექტი ხორციელდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის - „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“ პროგრამის მხარდაჭერით. პროექტი დაფინანსებულია, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; კავშირი საფარი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; მედიის ინსტიტუტი.

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160 მელიტონ ქანთარიას 11ა. ტელ.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
ელ–ფოსტა: tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org
Address: 11a Meliton Kantaria st. 0160 Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
E-mail: tbilisi@humanrightshouse.org, Web: www.HumanRightsHouse.org

პროექტს „უფასო იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს" ახორციელებს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები - „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და ადამიანის უფლებათა ცენტრი.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

პროექტი ხორციელდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის - „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის" პროგრამის მხარდაჭერით. პროექტი დაფინანსებულია, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; კავშირი საფარი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; მედიის ინსტიტუტი.

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160 მელიტონ ქანთარიას 11ა. ტელ.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
ელ–ფოსტა: tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org
Address: 11a Meliton Kantaria st. 0160 Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
E-mail: tbilisi@humanrightshouse.org, Web: www.HumanRightsHouse.org